



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თორნიკე ერისთავი

თორნიკე ერისთავი (გ. 985), სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, დავით III დიდი კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი მაშენებელი, ტაოელი დიდებულის ჩორდვანელის ძე. ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა იოანე. ერთხანს ათონის მთაზე, ათანასე დიდის ლავრაში, მოღვაწეობდა. 979 თ. ე-ს ბიზანტ. სამეფო კარმა შუამდგომლობა სთხოვა დავით კურაპალატთან, რათა იგი დახმარებოდა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში. თ. ე-მა თავდაპირველად ბერობა მოიმიზეზა და შემოთავაზებამე უარი თქვა მაგრამ შემდეგ ხელისუფლებისაგან მოსალოდნელი რისხვის თავიდან ასაცილებლად დათანხმდა. დავით კურაპალატმა თ. ე-ის სარდლობით ბიზანტიაში გაგზავნა 12 ათასი მხედარი, რ-ებმაც სძლიეს სკლიაროსს და ხელთ იგდეს დიდი ნადავლი. ბიზანტ. ხელისუფლების დაპირების თანახმად, ნადავლი თ. ე-ს ეკუთვნოდა. ნაწილი ამ სიმდიდრისა მან ათანასეს ლავრას და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, ხოლო უდიდესი ნაწილი ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა. 980 წლის ახლო ხანებში თ. ე-ს ბიზანტ. კეისარმა სვინგელოზის (პატრიარქის თანამემწე ბერი) წოდება უბოძა. თ. ე-ის შეკვეთით გადაწერილია ოშკის ბიბლია (978) და კირილე ალექსანდრიელის თხზულების „განძის“ – 981 წლის ნუსხა.

წყარო: გიორგი მთაწმიდელი, ცხორებად იოვანესი და ეფთვმესი, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგ. 2, თბ., 1967.

ა. ბოგვერაძე
